

ინფორმაციის წყარო - პოლონური მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა 2009 წ. (GUS - ცენტრალური სტატისტიკური ბიურო 2011)

http://www.stat.gov.pl/gus/5840_658_PLK_HTML.htm

არ არსებობს ერთი, საყოველთაოდ მიღებული შეზღუდულობის განმარტება. WHO განსაზღვრავს, რომ შშმ პირად ითვლებიან ადამიანები, რომელთა ხანგრძლივმა ფიზიკურმა, მენტალურმა, ინტელექტუალურმა და სენსორულმა დარღვევებმა დამატებით ბარიერებთან ურთიერთქმედებაში შესაძლოა შეაფერხონ მათი საზოგადოების ცხოვრებაში თანასწორი, სრულფასოვანი და ეფექტური მონაწილეობა.

პოლონეთში იხმარება მინიმუმ ორი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა განმარტება. პირველი არის განმარტება კანონის შედეგად და შშმ კვალიფიკაციის სამართლებრივი საფუძვლის. ხოლო მეორე, ბევრად უფრო ფართო, რომელიც გამოიყენება GUS (ცსბ-ს) მიერ. სტატისტიკური განმარტება აღიარებს არამარტო კანონის მიხედვით შშმ, არამედ მათ, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ არ გააჩნიათ საბუთი ინვალიდობის შესახებ, აცხადებენ, რომ აქვთ შეზღუდვები გარკვეული ფუნქციების შესრულებაში (ე.წ. ბიოლოგიური ინვალიდობა).

სტატისტიკის მიერ გამოყენებული კვლევის ინსტრუმენტები (ორი დამოუკიდებელი შეკითხვა, იურიდიული და ბიოლოგიური ინვალიდობის შესახებ) იძლევა მონაცემების წარმოდგენას შშმ მოსახლეობის სამ ძირითად ჯგუფად, ე.ი ბიოლოგიურად და იურიდიულად შეზღუდულო პირები, მარტო იურიდიულად შეზღუდულები და მარტო ბიოლოგიურად შეზღუდულები. აღსანიშნავია, რომ პოლონეთში იურიდიულ შეზღუდულობას ანიჭებდნენ და ანიჭებენ სხვადასხვა დაწესებულებები და სხვადასხვა მიზნით. არსებული მოქმედი კანონების ფარგლებში ამჟამად არსებობს ორი სახის სერთიპიკატი (ცალკეული კანონებით მოწესრიგებული), წარმართული სხვადასხვა დაწესებულებების მიერ, ე.წ. საპენსიო მიზნებისთვის - გაცემული სოციალური დაზღვევის ინსტიტუტის (ZUS) მიერ და არასაპენსიო მიზნებისთვის - გაცემული ინვალიდობის დამამტკიცებელი გუნდის მიერ. კანონის თანახმად, ზ.ხ. ორგანოს მიერ გაცემული მოქმედი სერთიფიკატის ფლობა მიაკუთვნებს პირს იურიდიულად შეზღუდული პირების ჯგუფს და იძლევა საფუძველს განაცხადის შეტანისა და სპეციალური დახმარებით, პრივილეგიებით რომლებითაც სარგებლობს მოსახლეობის მოცემული ჯგუფი (მაგ. პენსია შრომის უუნარობის

საფუძველზე, მზრუნველობითი დახმარება, რააბილიტაცია, სატრანსპორტო შეღავათები).

ბიოლოგიური შეზღუდულობა გვაცნობებს, მხოლოდ პირის სუბიექტურ დეკლარაციას, რომ აქვს შეზღუდული შესაძლებლობები განსაზღვრული ფუნქციების შესრულებაში. ქმედებების სპეციფიკაცია, რომლებიც წარმადგენენ კრიერიუმებს ბიოლოგიურად შეზღუდული მოსახლეობის ექსტრაქციის მკვეთრად შეიცვალა, ეროვნული კვლევის ინსტრუმენტის შეცვლის გამო - ევროპული სტანდარტების რეკომენდაციით.

ბიოლოგიური შეზღუდულობა ევროკავშირის კრიტერიუმების მიხედვით

ევროსტატ-ის მეთოდოლოგიის მიხედვით 2009 წლის ბოლოს პოლონეთში ცხოვრობდა 8,1 მილიონი ინვალიდი პირი, ანუ პირები, რომლებსაც ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო ჰქონდათ გარკვეული ფუნქციების შესრულების შეზღუდული შესაძლებლობები (მხედველობაშია სერიოზული და ნაკლებად სერიოზული შეზღუდვები). თუმცა, მხედველობაში არ იყო მიღებული ინვალიდობის კანონიერი ცნობა. მონაცემები მიუთითებს, რომ უფრო ხშირად ვიდრე ყოველი მე-5 პოლონელი მიეკუთვნა შშმპ ჯგუფს. ნახსენები მოსახლეობის 2/3 წარმოადგენს პირებს, რომლებსაც ნაკლებად სერიოზული შეზღუდვები აქვთ, ხოლო დანარჩენ 1/3 აქვთ სერიოზული შეზღუდვები. ბიოლოგიური შეზღუდულობის სიხშირე იზრდება ასაკთან ერთად, სწრაფად 50 წლის ასაკიდან. ევროკავშირის კრიტერიუმებით ყოველი მესამე პირი მიღწეული 50 წელს მიეკუთვნა შშმპ ჯგუფს, ხოლო 70 წელს მიღწეული თითქმის 2/3. ბიოლოგიური შეზღუდულობის ასპექტი ნათლად ჩანს, როდესაც გავითვალისწინებთ სხვა თვისებებს, აგრეთვე ჯანმრთელობის უქონლობის. ქალები მამაკაცებთან შედარებით უფრო ხშირად მიეკუთვნებიან შშმ მოქალაქეთა ჯგუფს - თითქმის ყოველი მეოთხე ქალი და მხოლოდ ყოველი მეხუთე მამაკაცი. მხოლოდ ყოველმა მეექვსე პირმა შეაფასა თავისი მდგომარეობა როგორც კარგი ან ძალიან კარგი, უმრავლესობამ შეაფასა როგორც საშუალო, ძალიან ცუდი ან ცუდი, ამ ჯგუფის 90% გააჩნია ხანგრძლივი ჯანმრთელობის პრობლემები.

ბიოლოგიური შეზღუდულობის დონის შეფასებისას პოლონეთში 2009 წ. მხოლოდ ზრდასრული მოსახლეობის (რომელთა ასაკია 15 წელი და მეტი) შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, რომ შეადგინა 25% ჯერ კიდევ დგას ოდნავ დაბალ დონეზე ევროკავშირის საშუალოსთან შედარებით (თითქმის 26%). ევროკავშირის ბევრ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ქვეყნებში ბიოლოგიურად შეზღუდული პირების წილი ბევრად მეტია ვიდრე პოლონეთში, მაგ. ესტონეთსა და უნგრეთში თითქმის 29%, ლატვიაში - 31%, სლოვაკეთში 33%.

იურიდიული შეზღუდულობა

როგორც ზემოთ ავლნიშნეთ პირიშთვის შეზღუდულობის მინიჭების სისტემა პოლონეთში არის ჩახლართული და რთულად გასაგები. არსებული საკანონმდებლო დებულებები, იქედან გამომდინარე თუ როდის იყო გამოქვეყნებული, იყენებენ სხვადასხვა ტერმინოლოგიას იგივე შმმზ დაკავშირებით. ინვალიდობას ანიჭებდა და ანიჭებს სხვადასხვა დაწესებულებები და სხვადასხვა მიზნით. გარდაამისა, გამოტანილი გადაწყვეტილებები არ არის ექვივალენტური. ზოგჯერ გადაწყვეტილებაში არსებული ელემენტები არ არის საკმარისი შეღავათების და დახმარების მისაღებად, რომლის მიღებას ცდილობს შმმზ იგი ვალდებულია გაიაროს სხვა ორგანოს მიერ გათვალისწინებული გამოკვლევები. ეს დუალიზმი არ გვამლევს საშუალებას მივიღოთ სანდო და სათანადო ინფორმაცია, რამდენ ადამიანს რეალურად გააჩნია პოლონეთში შმმზ სერტიფიკატი.

საზოგადო სტატისტიკა ცდილობს დააკმაყოფილოს ამ ინფორმაციის მოთხოვნილება. ინვალიდობის მაშტაბისა და სტრუქტურის გამოკვლევა GUS-ის მიერ მიმდინარეობს 1978 რლიდან. ინვალიდობის საკითხი წამოწყებული იყო მომდევნო მოსახლეობის საყოველთაო აღწერის დროს, და აგრეთვე სხვა ანკეტური გამოკითხვების დროს. ბოლო სრული კვლევა შმმზ რაოდენობისა და სტრუქტურის (მათ შორის იურიდიული) ჩატარდა 2002 წელს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ფარგლებში. აღწერებს შორის პერიოდში ინვალიდობის ზოგიერთი ასპექტი დაფიქსირდა ჯანმრთელობის კვლევის დროს (EHIS 1996, 2004), მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების კვლევის (EU-SILC) და მოსახლეობის ეკონომიკური საქმიანობის კვლევის დროს (BAEL).

მხოლოდ იურიდიულად შმმზ სუბპოპულაციის ანალიზის დროს შეიძლება დავასკვნათ, რომ ინვალიდობის პენსიის და სხვა მსგავსი შეღავათების მინიჭების წესების გამკაცრებამ მოიტანა თვალსაჩინო წარმატება. შეფასების თანახმად, 2009 წლის ბოლოს აქტუალური იურიდიული შეფასება შეზღუდულობის შესახებ ან ექვივალენტური გააჩნდა თითქმის 4.2 მილ. პოლონელს, მათ შორის თითქმის 184 ათას 16 წლამდე ბავშვს, ე.წ. მიახლოებით 600 ათასი პირით მეტს BAEL- ის კვლევასთან შედარებით. თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ ამ კვლევების მიზნების განსხვავება, და რადგან ორივე შემთხვევაში იურიდიულ ინვალიდობის შესახებ კითხვაზე პასუხი იყო სუბიექტური - დაყრდნობილი გამოკითხულთა დეკლარაციაზე, შედეგები არ არის სრულად შესადარებელი.

ბოლო მსგავსი - იმავე თემის (ჯანმრთელობის კვლევა) ორი ანკეტური გამოკვლევის მონაცემების შედარება მიუთითებს, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში იურიდიული შმმზ მოსახლეობის რაოდენობამ დაიკლო 660 ათასზე

მეტით. 2009 წლის ბოლოს, ინვალიდობა მინიჭებული ჰქონდა ყოველ მე-9 პოლონელს, განურჩევლად სქესისა.

იურიდიული და ბიოლოგიური შეზღუდულობა ცსბ-ს (GUS) მიხედვით

სტატისტიკაში მიღებული შშმპ განმარტების მკაცრი გამოყენების შემთხვევაში ამ საზოგადოების რაოდენობა გაცილებით მაღალია, რადგან, როგორც ადრე ავლნიშნეთ, მოცემული განმარტება მოიცავს ისევე როგორც ყველა იურიდიულად შშმპ აგრეთვე პირებს, რომელთაც მართალია არ გააჩნიათ დადგენილება შეზღუდულობის შესახებ, მაგრამ აცხადებენ, რომ აქვთ შეზღუდულობა უბრალო ფუნქციების შესრულებაში (ე.წ. ბიოლოგიური შეზღუდულობა). ბიოლოგიური შეზღუდულობის მიღებული კრიტერიუმებიდან გამომდინარე (უფრო ზუსტად - შეზღუდვის დონე) შშმ მოსახლეობა პოლონეთში GUS-ის კრიტერიუმებით შესაძლოა შეადგენდეს 5,3 მილ. დან 9 მილ. ადამიანამდე. ქვედა ზღვარის შემხვევამ გათვალისწინებულ იქნა ყველა იურიდიულად შშმ, ასევე ის პირები, რომელთაც აქვთ მნიშვნელოვანი შეზღუდვები ფუნქციების შესრულებაში, ხოლო ზედა ზღვარის შემთხვევაში ასევე პირები, რომლებმაც განაცხადეს რაიმე შეზღუდვის შესახებ, მაშინაც კი, როდესაც შეზღუდვები არ იყო სერიოზული. პირველი ციფრი (5,3 მილ.) თითქმის ზუსტად შეესაბამება კრიტერიუმებს, რომლებიც მანამდე გამოიყენებოდა პოლონეთში შშმპ რაოდენობის დასადგენად (საანკეტო გამოკითხვასა თუ მსა), ხოლო მეორე (9 მილ.) ასევე ითვალისწინებს ევროპის სტატისტიკისათვის მოქმედ ბიოლოგიური შეზღუდულობის სრულ კრიტერიუმებს. თუმცა, იმისათვის, რომ მოხდეს ცვლილებების ანალიზი, რომლებიც დაფიქსირდა ბოლო 5 წლის განმავლობაში შშმ საზოგადოებაში, უნდა ავირჩიოთ მხოლოდ ერთი კრიტერიუმი. როგორც ადრე ავლნიშნეთ, ბიოლოგიური შეზღუდულობის გამოკვლევის მეთოდი EHIS არა მარტო შეიცვალა, არამედ მნიშვნელოვნად გაფართოვდა. გარდა კითხვის შინაარსის ცვლილების, შეიცვალა სოციალური კვლევის პასუხები. ამიტომაც არ შეიძლება სრულად გამოიყენოს ევროკავშირის კრიტერიუმები, რადგან პირები, რომლებმაც EHIS-ს გამოკვლევაში უპასუხეს, რომ აქვთ შეზღუდული შესაძლებლობები ფუნქციების შესრულებაში, მაგრამ ნაკლებად სერიოზული, პოლონური სოციალური კვლევის გამოყენებისას (მაგალითად მსა-ში ან HIS-ის გამოკითხვაში 2004 წ.) უპასუხებდნენ, რომ არ აქვთ შეზღუდვები.